ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №338476

ნომერი: AR170224

თარიღი : 24.08.2012

გაცემის თარიღი : 05.09.2012

გაცნობის თარიღი : 06.09.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 35-37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილ ზანდუკელი პ/ნ 01003003051
- თბილისი ბეთლემის ქ. N 17

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა "მცხეთის ქუჩა N 35-37" კოდი: 0

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 123/03
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.01.2003

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვასილ რევიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილ ზანდუკელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01003003051
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ამხანაგობა "მცხეთის ქუჩა N 35-37"

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 875.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 515.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5626.5
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3797.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 390.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 203.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 545.0
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 266.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 6.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 418.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 23334.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 20162.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3172.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 53.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 40.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 13.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 515.7 კ1=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5430.6 კ2=6.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 88 კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 20/318
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.08.2003

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/343
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.10.2003

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და მოწოდებული ინფორმაცია არასრულია, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად დაგიდგინოთ ხარვეზი.

პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ ვინაიდან საკადასტრო გეგმის მიხედვით გაერთიანდა ორი საპროექტო მიწის ნაკვეთი და შეიცვალა კონფიგურაცია, პირველ რიგში საკითხი საჭიროა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე; ასევე ვინაიდან შეთანხმებული პროექტის მიხედვით დამკვეთებად ფიქსირდებოდნენ მოქ. ქ. ციციშვილი, მ. ბაკურაძე და ნ. ხაზარაძე, ხოლო ამჟამად დამკვეთად აფიქსირებთ - ამხანაგობა ,,მცხეთის ქუჩა #35-37"-ს, საჭიროა განაახლოთ ამონაწერი; ასევე დამატებით ველში საჭიროა ატვირთოთ დაფუძნების კრების ოქმი, სადაც დაფიქსირდება ამხანაგობის თავჯდომარე და მისი უფლებამოსილება; გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძველი დამკვეთები არ წარმოადგენენ ამხანაგობის წევრებს დამატებით ველში საჭიროა ატვირთოთ მათი თანხმობები აღნიშნულის განხორციელების თაობაზე.

1. არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი;
.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი;
.არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათის pdf ფაილი.: ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან სამსახურის მიერ ვერ იქნა მოძიებული თქვენს მიერ მითითებული მშენებლობის ნებართვა (ბოლოს შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შემდგომ მშენებლობის ნებართვა საერთოდ არ იძებნება) და კ2 კოეფიციენტი - 5,8-ის მომატებაზე გაცემული განკარგულება ან რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამატებით ველში საჭიროა ატვირთოთ აღნიშნული აქტები;

2. კორექტრებული პროექტს განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: განმარტებით ბარათში კორექტირებით გამოწვეული ცვლილებები უნდა ასახოთ დეტალურად;

3. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;
.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით;
.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: იმისთვის, რომ სამსახურმა განიხილოს თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არქიტექტურული ნაწილი საჭიროა ატვირთოთ ვექტორულ ფაილში დახაზული - წარმოდგენილი ფასადების მსგავსად;

4. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: აღნიშნულ ველში საჭიროა ატვირთოთ მაქსიმალური სიმაღლის განმსაზღვრელი სქემა;

5. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : აღნიშნულ ველში საჭიროა ატვირთოთ ვექტორული ფაილი, რომელშიც იქნება დახაზული მთლიანი პროექტი (და არა დასკანერებული), გამოყენებული კოეფიციენტების კროკების დატანით და შესაბამისი ფართების მითითებით; წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური ვერ შეძლებს გადაამოწმოს თქვენს მიერ მითითებული გამოყენებული კოეფიციენტების პროექტთან შესაბამისობა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.